სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

11002721566319

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190481436

რეგისტრაციის თარიღი

03.05.2019 წ

ნოტარიუსი: ნინო ბადაგაძე
მისამართი: ქალაქი ბათუმი, რევაზ კომახიძის ქუჩა №10/12
ტელეფონი: 223312

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, ქალაქი ბათუმი

სანოტარო აქტი

ორი ათას ცხრამეტი წლის სამ მაისს მე, ნოტარიუს ნინო ბადაგაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი ბათუმი, რევაზ კომახიძის ქუჩა N10/12, მომმართა შპს „ჯეო მობი"-ს (რეგისტრირებული 11/04/2019წ., საიდენტიფიკაციო №441996627, იურიდიული მისამართი: საქართველო, ჩოხატაურის რაიონი, სოფ.ნაბეღლავი) დირექტორმა ბატონმა შავლეგ ჭელიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სურს შეადგინოს და სანოტარო წესით დაადასტუროს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ბატონ ლევან ირემაძეს. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ბატონმა შავლეგ ჭელიძემ, დაბადებული 04.11.1991წ., მცხოვრები ჩოხატაური, ს.ნაბეღლავი, პირადი N46001020727, მომმართა. მე დავადგინე ის ფაქტი, რომ ბატონი შავლეგ ჭელიძე უფლებამოსილია, როგორც დირექტორმა წარმოადგინოს შპს „ჯეო მობი", თანახმად დანართში მითითებული დოკუმენტებისა. მე შევამოწმე მიმნდობის ქმედუნარიანობა, რაც სანოტარო აქტის შედგენისა და დადასტურების დროს ეჭვს არ იწვევდა. მე დავადგინე მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობა, გარიგების შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, მიმნდობს წავუკითხე ხმამაღლა და განვუმარტე მისი შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა, დაადასტურა, რომ იგი სრულად გამოხატავს მის მიერ გამოვლენილ ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი.

მინდობილობა

ქალაქი ბათუმი, ორი ათას ცხრამეტი წლის სამი მაისი

მე, შპს „ჯეო მობი"-ს (რეგისტრირებული 11/04/2019წ., საიდენტიფიკაციო №441996627, იურიდიული მისამართი: საქართველო, ჩოხატაურის რაიონი, სოფ.ნაბეღლავი) დირექტორი შავლეგ ჭელიძე, ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ ბატონ ლევან ირემაძეს, დაბადებული 25.02.1987წ., მცხოვრები ხელვაჩაური, ს.მნათობი, მე–4 ქუჩა N6, პირადი N61006028999:

ა)ნებისმიერ ბანკში გახსნილ ყველა ანგარიშზე, როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში, ყოველ სერვის ცენტრსა და განყოფილებაში აწარმოოს ყველა სახის საბანკო ოპერაცია, მათ შორის გახსნას და/ან დახუროს ანგარიშები, გამოიტანოს, შეიტანოს და/ან გადარიცხოს თანხები (როგორც არსებული, ასევე გახსნილი ანგარიშებიდან), მოახდინოს ვალუტის კონვერტაცია, მიიღოს ამონაწერები, ინფორმაცია საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის მოძრაობისა და ნაშთების შესახებ, ისარგებლოს დისტანციური მომსახურებით (გააქტიურების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების უფლებით), მათ შორის ინტერნეტბანკით;

ბ)წარმოადგინოს საზოგადოება ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, მისი მმართველობის სფეროში მოქმედ ცენტრებსა და განყოფილებებში, შესაბამისი ფიზიკური და იურიდიული პირების წინაშე, მოახდინოს დოკუმენტების წარდგენა, მიღება, შეიძინოს, შეცვალოს და/ან მიიღოს საკონტროლო–სალარო აპარატები, უზრუნველყოს რეგისტრაცია, მომსახურების მიღება და სხვ.,

გ)დადოს (შეიტანოს ცვლილებები, გააუქმოს) შრომითი ხელშეკრულებები, კომერციული გარიგებები (მათ შორის დადოს ხელშეკრულებები ნებისმიერ საბანკო დაწესებულებასთან, საზოგადოების სავაჭრო ობიექტებში მობილური ტელეფონების, აქსესუარებისა და ნებისმიერი სხვა სახის საქონლის ფიზიკური და/ან იურიდიული პირებისათვის განვადებით სარეალიზაციოდ) და უზრუნველყოს მათი შესრულება, შეიძინოს ყველა სახის საქონელი, მოახდინოს საქონლის (ტვირთის) მიღება, ნებისმიერი სასაქონლო ოპერაციის წარმოება (საქონლის გაფორმება, დეკლარირება, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა, შევსება,

მიღება, სატარიფო ღირებულების გადახდა და სხვ.), ტრანსპორტირება, განახორციელოს რეალიზაცია სათანადო დოკუმენტაციის გაფორმებით, სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში გააფორმოს საზოგადოების სახელზე, მიიღოს რეგისტრაციის ნომერი და მოწმობა, მოახდინოს ანგარიშსწორება, გამოიყენოს საზოგადოების ბეჭედი დანიშნულებისამებრ.

ზემოთაღნიშნულის შესასრულებლად იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, მიიღოს და წარადგინოს ცნობები, ხელი მოაწეროს სათანადო დოკუმენტაციას და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ყველა მოქმედება და ფორმალობა, რაც დაკავშირებული იქნება მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ხუთ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ოთხი ეგზემპლარი გადაეცა მიმნდობს, ხოლო ერთი - ინახება ჩემს, ნოტარიუს ნინო ბადაგაძის სანოტარო არქივში, რომელსაც თან ერთვის დანართად ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19041831, 11/04/2019 13:22:19 (ელექტრონული ვერსია) და შპს „ჯეო მობი"-ს წესდება, დამოწმებული 10.04.2019წ., საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (ამონაბეჭდის შესაბამისობა ელექტრონულ ბაზაში დაცულ მონაცემებთან, დამოწმებული 03.05.2019წ., ჩემს, ნოტარიუს ნინო ბადაგაძის მიერ).

გადახდილია საზღაური 10,0 ლარი, აგრეთვე 2,0 ლარი, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე და 39-ე მუხლებისა.

ნოტარიუსი _____ ნინო ბადაგაძე

საქართველო, ნოტარიუსი ნინო ბადაგაძე
GEORGIA, NOTARY NINO BADAGADZE
6100200751 9